საქართველოს მთავრობის

დადგენილება №422

2021 წლის 24 აგვისტო

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“:

1. მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. 2021 წლის 25 აგვისტოდან აკრძალულია ნებისმიერი ტიპის სპორტული (გარდა საერთაშორისო მატჩებისა მაყურებლის გარეშე), გასართობი, სახელოვნებო, საფესტივალო და კულტურული (გარდა სათეატრო და კინემატოგრაფიული ხასიათისა) ღონისძიების ჩატარება.“.

2. მე-6 მუხლის 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. 2021 წლის 25 აგვისტოდან დასაშვებია სასტუმროებსა და განთავსების მსგავს საშუალებებში რესტორნების/ბარების/კაფეების ფუნქციონირება მომსახურების გაწევის მიზნით 05:00 საათიდან 22:00 საათამდე, ხოლო 22:00 საათიდან 05:00 საათამდე დასაშვებია მხოლოდ ნომერში მომსახურების სერვისი. სპორტული დარბაზებისა და საცურაო აუზების ფუნქციონირება დასაშვებია მხოლოდ სასტუმროსა და განთავსების მსგავსი საშუალებების სტუმრებისთვის.“.

3. მე-6 მუხლის 4^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4^1. 2021 წლის 25 აგვისტოდან კვების ობიექტების/რესტორნების/ ბარების/კაფეების ფუნქციონირება დასაშვებია როგორც გარე, ისე შიდა სივრცეში სტუმრის მიღების მიზნით 05:00 საათიდან 22:00 საათამდე, ხოლო მიტანის მომსახურებითა (ე. წ. „დელივერი“ სერვისი) და პროდუქტის გატანით (ე. წ. „თეიქ ევეი“ და „დრაივი“) – საათობრივი შეზღუდვის გარეშე. სტუმრის მიღებისას დაცულ უნდა იქნეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციები.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**